ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 540

19 ნოემბერი
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა №13ა, №13ბ, №13გ (ს/კ. №01.14.14.001.121, №01.14.14.001.122, №01.14.14.001.123) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „იქსორი თამარაშვილზე" (ს/ნ. 405210711) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა №13ა, №13ბ, №13გ (ს/კ. №01.14.14.001.121, №01.14.14.001.122, №01.14.14.001.123) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „იქსორი თამარაშვილზე" (ს/ნ. 405210711) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ნოემბრის №21.1592.1768 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „იქსორი თამარაშვილზე" (ს/ნ. 405210711) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა №13ა, №13ბ, №13გ (ს/კ. №01.14.14.001.121, №01.14.14.001.122, №01.14.14.001.123), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2020 წლის 22 აპრილის განკარგულება №20.443.577) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2020 წლის 15 მაისის განკარგულება №94) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება, სადაც: მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვრება - კ-1- 0.7-ით; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვრება - კ-3- 0.1 - ით;

ბ) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე არ იქნას გათვალისწინებული სიმაღლის განმსაზღვრელი და სამეზობლო მიჯნის ზონასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები;

გ) დაინტერესებულმა პირმა - შპს „იქსორი თამარაშვილზე“ (ს/ნ. 405210711) ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების, დაგეგმილი საპარკო ინფრასტრუქტურის და გამწვანების პროექტი წარმოადგინოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე;

დ) ზემოაღნიშნული დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდეს გეგმარებითი დავალების/განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში შემავალ ტერიტორიაზეც, მისი მესაკუთრის თანხმობის შემთხვევაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ახვლედიანი